საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად აუდიტორული ფირმის არჩევის შესახებ

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 165-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტის განსახორციელებლად არჩეულ იქნეს აუდიტორული ფირმა – შპს „დელოიტი და ტუში“.

2. აუდიტორული შემოწმების სრული ღირებულება განისაზღვროს 317 000 ლარით.

3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2019 წლების ფინანსური აუდიტის ხარჯები გასწიოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა.

4. დაევალოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, აუდიტორულ ფირმასთან – შპს „დელოიტი და ტუში“-სთან გააფორმოს ხელშეკრულება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე**

თბილისი,

22 მარტი 2019 წ.

N4386-IIს